პროლეტარეზო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 298 (10995)

პარასკევი, 20 დეკემბერი, 1957 წ.

ფასი 20 კაპ.

გუშინ მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიამ. დიღის 10 საათზე გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს სესია; 13 საათზე გაიმართა კავშირის საბჭოს სესია. ორივე სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად ახალი დეპუტატების არჩევნების შესახებ და დამტკიცდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დღის წესრიგი.

16 საათზე გაიხსნა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. მოსმენილ იქნა ამხ. ი. ი. კუზმინის მოხსენება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ და ამხ. ა. გ. ზვერევის მოხსენება სსრ კავშირის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

ჩვენი მუშაობის საბრძოლო პროგრამა

გუშინ პრესაში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებები „კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირების შედეგების შესახებ“ და „სსრ კავშირის პროფესიული კავშირების მუშაობის შესახებ“.

კომუნისტური პარტიის ყველა წევრი, მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი ინტერესით ეცნობა, ერთსულოვნად იწონებს და მხარს უჭერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებიც ჩვენი მუშაობის გაშლილ საბრძოლო პროგრამას წარმოადგენენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირების შედეგების შესახებ“ ამომწურავი სიცხადით, უაღრესად ნათლად და მკაფიოდ არის შეფასებული ნოემბრის თათბირებისა და მათ მიერ მიღებული დოკუმენტების — დეკლარაციისა და მშვიდობის მანიფესტის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა.

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირების მუშაობა მოსკოვში 1957 წლის ნოემბერში და მათი გადაწყვეტილებანი მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის უდიდესი იდეური და პოლიტიკური გამარჯვებაა. ამ თათბირების შედეგები თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ სოციალისტური ბანაკი და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა, ისე როგორც არასოდეს, მტკიცედ არის დარაზმული მარქსიზმ-ლენინიზმის იდეურ საფუძველზე. მსოფლიო ისტორიის თანამედროვე ეტაპზე ნოემბრის თათბირებმა შეიმუშავეს და გამოაცხადეს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში კომუნისტთა უმნიშვნელოვანესი ამოცანები, მთელი ძალით ცხადყვეს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ურღვევი შემჭიდროება და კომპარტიებს შორის კავშირის შემდგომი განმტკიცება.

ამასთან ერთად თათბირების შედეგები გადამწყვეტი დარტყმაა საერთაშორისო რეაქციის გეგმებისადმი, რომელიც ამ ბოლო დროს ცოტა ღონეს როდი ხმარობდა იმისათვის, რომ გაეთიშა კომუნისტური მოძრაობა, არევდარევა გამოეწვია მის რიგებში.

დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი, — „კითხულობთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში, — გამსჭვალულია კომუნისტური და მუშათა პარტიების დიდი პასუხისმგებლობის გრძნობის შეგნით მსოფლიო სოციალისტური სისტემის ბედისათვის, საყოველთაო მშვიდობის ბედისათვის, მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის და წარმოადგენენ დიდი მამობილუნებელი და მაორგანიზებელი ძალის დოკუმენტებს. მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლა მსოფლიო პოლიტიკის მთავარი, ძირეული პრობლემაა.

პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია, რომ „დეკლარაცია წარმოადგენს კომუნისტური პარტიების კოლექტიური გამოცდილების საფუძველზე მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების მაგალითს. მუშათა მოძრაობამ მასში ჰპოვა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის მიმდინარე პრობლემებისა და ახლანდელი ეპოქის მთავარი ტენდენციების მარქსისტულ-ლენინური შეფასება. დეკლარაცია განზოგადებს მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნისა და განმტკიცებისათვის სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების მუშაობის გამოცდილებას. ამასთან ერთად მასში შეჯამებულია კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა მოძრაობის გამოცდილება, აგრეთვე კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოცდილება. ამრიგად დეკლარაციაში გაანალიზებული და განზოგადებულია მთელი საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის გამოცდილება ფაქტიურად მთელ ომისშემდგომ პერიოდში“.

დეკლარაცია აიარაღებს კომუნისტურ პარტიებს მძლავრი თეორიული იარაღით სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში და ლახვარს სცემს ოპორტუნისტებს. კომუნისტური პარტიების იდეური და ორგანიზაციული განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დეკლარაციის მითითებებს იმის შესახებ, რომ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ რევიზიონიზმის წინააღმდეგ, როგორც თანამედროვე პირობებში საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგებში მთავარი საფრთხის წინააღმდეგ, აგრეთვე დავძლიოთ დოგმატიზმი და სექტანტობა.

უდიდესია ყველა მოძმე პარტიის ღრმა სიყვარული და ნდობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი. ეს ერთხელ კიდევ მკაფიოდ ცხადყო კომპარტიების წარმომადგენელთა თათბირების მუშაობამ. განუწყვეტლივ იზრდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი მთელი მსოფლიოს მშრომელთა თვალში. საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც წარმატებით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას, დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი მიაჩნიათ თავიანთი მოქმედების სახელმძღვანელოდ. პლენუმის დადგენილების სიტყვები: „მთლიანად მოწონებულ იქნას თათბირების მიერ მიღებული ისტორიული დოკუმენტები — დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი“ მთელი საბჭოთა ხალხის გადაწყვეტილება, მისი ფიქრებისა და აზრის ნათელი დადასტურებაა.

პლენუმის დადგენილებით პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა განუმარტონ კომუნისტებს, ყველა მშრომელთ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირების მნიშვნელობა და მათ მიერ მიღებული დოკუმენტების შინაარსი. საჭიროა ეს მუშაობა წარიმართოს მასების კიდევ უფრო მჭიდროდ დასარაზმავად, რათა წარმატებით გადაწყდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანები.

სოციალიზმის გრანდიოზულ გამარჯვებებში დიდია საბჭოთა პროფკავშირების როლი, რომლებიც მშრომელთა მილიონიანი მასების აღზრდის ნამდვილ სკოლას, მართვისა და მეურნეობის გაძღოლის სკოლას, კომუნიზმის სკოლას წარმოადგენენ. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით, რამაც უკვე მოგვცა თავისი პირველი დადებითი შედეგები, სულ უფრო იზრდება საბჭოთა პროფკავშირების როლი და მნიშვნელობა. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას „სსრ კავშირის პროფესიული კავშირების მუშაობის შესახებ“, რომელსაც ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყენებს მთელი პროფკავშირული მოძრაობა, სახავს პროფესიული კავშირების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფის გზებს.

პლენუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა პროფკავშირებმა ამ ბოლო დროს თავიანთი მუშაობა გააუმჯობესეს. მაგრამ ამასთან ერთად პროფკავშირული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს საჭიროდ მიაჩნია, — ნათქვამია დადგენილებაში, — მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს საბჭოთა პროფკავშირების მთელი საქმიანობა, კიდევ უფრო ამაღლდეს მათი როლი საყოველთაოსახალხო ბრძოლაში ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის“.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოითხოვს, რომ პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა აიღოს პროფკავშირული ცხოვრების ნორმების ზუსტად დაცვის, თვითმოქმედებისა და ინიციატივის განვითარების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღების, კოლექტიური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის, პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგებისა და არჩევნების საფუძველზე. საჭიროა გადაჭრით ამაღლდეს პროფკავშირების როლი სამეურნეო მშენებლობაში. მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა პროფკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ამჟამად, როცა პროფკავშირული ორგანიზაციების უფლებები მნიშვნელოვნად გაფართოვდა, როცა მათ წინაშე ახალი დიდი ამოცანებია დასახული, კიდევ უფრო ძლიერდება პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა პროფესიული კავშირების მთელი საქმიანობისათვის. პროფკავშირები წარმატებით გადაწყვეტენ ყველა ამოცანას, თუ მათ უნარიანად უხელმძღვანელებენ, დაეხმარებიან და მხარს დაუჭერენ პარტიული ორგანიზაციები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიის ცხოვრებაში, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ჩვენი ქვეყნის მშრომელები ამ გადაწყვეტილებებში ხედავენ კომუნიზმისაკენ განუხრელი წინსვლის ნათელ პროგრამას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებები პარტიულ ორგანიზაციებს და ყველა კომუნისტს ავალებენ კიდევ უფრო გააძლიერონ ბრძოლა იმისათვის, რომ განუხრელად იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალები, უზრუნველყონ საბჭოთა ადამიანების აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განუყრელი შეხამების სულისკვეთებით. პარტიული ორგანიზაციების ღონისძიებები უნდა წარიმართოს პროფესიული კავშირების მუშაობის გაუმჯობესებისა და კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში მათი როლის შემდგომი ამაღლებისაკენ.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს და გამოთქვამენ ურყევ რწმენას, რომ ყოველი ღონისძიებით განამტკიცებენ ჩვენი ქვეყნისა და მთელი სოციალისტური ბანაკის ძლიერებას, დაუცხრომლად იბრძოლებენ ხალხთა შორის მშვიდობისათვის.

საბჭოთა ხალხი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული, მთელ თავის შემოქმედებითს ძალებსა და ენერგიას რაზმავს იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელოს პარტიის XX ყრილობის ისტორიული წინასწარდასახულობანი.

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი ინგლისის გაზეთის „დეილი ექსპრესის“ მთავარ რედაქტორთან ე. პიკერინგთან

მოსკოვში მყოფმა ინგლისის გაზეთის „დეილი ექსპრესის“ მთავარმა რედაქტორმა ე. პიკერინგმა სთხოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ს. ხრუშჩოვს მიეღო იგი საუბრისათვის.

19 დეკემბერს ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ე. პიკერინგი და გაზეთ „დეილი ექსპრესის“ თანამშრომელი ჟურნალისტი ტ. ლანკასტერი, რომელიც მას ახლდა, და საუბარი ჰქონდა მათთან. საუბარია დროს შეეხნენ საერთაშორისო მდგომარეობის და, კერძოდ, საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობის საკითხებს. (საკვლევ).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია

19 დეკემბერს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიამ. სასახლის გუმბათზე აღმართულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ალისფერი სახელმწიფო ალამი.

დილის 10 საათზე გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს სესია. თავმჯდომარეობდა ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ტ. ლაცისი.** 13 საათზე გაიმართა კავშირის საბჭოს სესია, რომელსაც თავმჯდომარეობდა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **პ. პ. ლობანოვი.**

სხდომათა დარბაზში, გარდა დეპუტატებისა, იყვნენ მრავალი სტუმარი, დიპლომატიური კორპუსის წევრები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

პალატების სხდომებს ესწრებოდნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ი. ე. კალნბერზინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, მ. გ. პერვუხინი,** რომლებსაც დეპუტატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ.

ეროვნებათა საბჭოს სესიაზე მოხსენება გააკეთა ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. დ. ნაზარენკომ. მან განაცხადა, რომ 1957 წლის 25 აგვისტოს ეროვნებათა საბჭოში ბაქოს ძერჟინსკის № 153 საარჩევნო ოლქში გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად არჩეულ იქნა ი. ი. კუზმინი.

მოისმინა რა სამანდატო კომისიის მოხსენება, ეროვნებათა საბჭომ ერთხმად ცნო ახლად არჩეული დეპუტატის რწმუნებანი.

კავშირის საბჭოს სესიაზე მოხსენება კავშირის საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატების რწმუნებათა შესახებ გააკეთა კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ი. დ. მუსტაფაევმა.** მან განაცხადა, რომ მერვე და მეცხრე სესიებს შორის პერიოდში კავშირის საბჭოს არჩევნები გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად მოხდა ორ საარჩევნო ოლქში. ბუჩაჩის № 522 საარჩევნო ოლქში დეპუტატად არჩეულია ტ. ს. ტეპლიცკი, გომელის საქალაქო № 560 საარჩევნო ოლქში — ფ. ა. სურგანოვი.

კავშირის საბჭომ ერთსულოვნად ცნო ახლად არჩეული დეპუტატების რწმუნებანი.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს სხდომებზე დამტკიცდა სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი. განხილულ იქნება შემდეგი საკითხები:

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმა.

2. სსრ კავშირის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება. (საკვლევ).

• • •

16 საათზე გაიხსნა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. დარბაზში მჭეხარე ტაში გაისმა, როცა პრეზიდიუმში გამოჩნდნენ ამხანაგები **ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. კოროტჩენკო, ი. ე. კალნბერზინი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მუავანაძე, მ. გ. პერვუხინი.**

გახსნა რა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა, დეპუტატმა **ვ. ტ. ლაცისმა** განაცხადა, რომ სხდომას ესწრება სირიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სირიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჰალედ ელ-აზემი. იგი დეპუტატების სახელით მიესალმა პატივცემულ სტუმრებს. დარბაზში გაისმის მხურვალე ტაში სირიის რესპუბლიკის დელეგაციის პატივსაცემად.

თავმჯდომარემ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა მისცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს დეპუტატ **ი. ი. კუზმინს.**

ამხ. ი. ი. კუზმინის მოხსენება

— გეგმით გათვალისწინებული დავალებანი, — ამბობს ამხ. კუზმინი, — გამომდინარეობენ კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან და პარტიისა და მთავრობის შემდგომი დადგენილებებიდან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხებზე. 1958 წლის გეგმის შესრულება უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის შემდგომ წინსვლას იმ თავარი ეკონომიური ამოცანის გადაჭრის გზით, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

სანამ შეუდგებოდეს 1958 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ძირითად დავალებათა განხილვას, მომხსენებელი ეხება 1957 წლის გეგმის შესრულების წინასწარ შედეგებს.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელდა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაცია. მართვის ახალმა სისტემამ გამოიწვია საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ინიციატივის ზრდა, გააძლიერა ადგილობრივი ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა სამეურნეო მშენებლობაში, შექმნა უდიდესი შესაძლებლობანი ქვეყნის საწარმოო ძალების კიდევ უფრო სწრაფი განვითარებისათვის.

მიმდინარე 1957 წელს სსრ კავშირის თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც ასრულებს სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის გეგმებს.

წინასწარი მონაცემებით, 1957 წელს სამრეწველო პროდუქციის გამოშვება სსრ კავშირში 10 პროცენტით გადიდდება გეგმით გათვალისწინებული 7,1 პროცენტის ნაცვლად. ამასთან მძიმე მრეწველობა კვლავ ვითარდებოდა უფრო მაღალი ტემპებით, ვიდრე მოხმარების საგნების წარმოება. წარმოების საშუალებათა წარმოება 1957 წელს დიდდება დაახლოებით 11 პროცენტით და მოხმარების საგნების წარმოება — 8 პროცენტზე მეტით.

1957 წელს ნაგლინის წარმოება 1956 წელთან შედარებით გადიდდა დაახლოებით 2 მილიონი ტონით, ქვანახშირის ამოღება — 33 მილიონზე მეტი ტონით. ნავთობის ამოღება ერთი წლის განმავლობაში გადიდდა 17 პროცენტზე მეტით, ხოლო გაზის მოპოვება — 1,5-ჯერ. ელექტროენერგიის გამომუშავება მიმდინარე წელს შეადგენს თითქმის 210 მილიარდ კილოვატ-საათს 1956 წლის 191,7 მილიარდი კილოვატ-საათის ნაცვლად.

დიდ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა მანქანათმშენებლობამ როგორც წარმოების მოცულობის გადიდებაში. ისე ახალი სახეობებისა და ტიპების თანამედროვე მანქანების, აგრეგატების, აპარატების, ხელსაწყოების ათვისებაშიც. მანქანათმშენებლებმა გააუმჯობესეს სახალხო მეურნეობის მომარაგება ახალი ტექნიკით.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა საშენ მასალათა წარმოება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმასთან დაკავშირებით, რომ გაიზარდა სამრეწველო და საბინაო მშენებლობის მოთხოვნილება ამ მასალებზე.

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სახალხო მეურნეობაში 1957 წელს გადიდდა 10 პროცენტით და მეტით. ყველა დარგის მრეწველობაში ამუშავებულია ახალი საწარმოო სიმძლავრენი.

გადაჭარბებით შესრულებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში 1957 წლისათვის გეგმით დაწესებული დავალება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება 1957 წელს მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანის წარმატებით შესრულების ნიშნით. მარცვლეულის მეურნეობის განვითარებაში მიღწეულ წარმატებათა შედეგად მდგომარეობა მეცხოველეობაში, სოფლის მეურნეობის ამ წინათ ჩამორჩენილ დარგში, ძირეულად უმჯობესდება. 1957 წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში გადიდდა 4 მილიონით, ცხვრისა და თხისა — 8 მილიონით და მეტით და ღორისა — 6 მილიონით.

მომხსენებელი ამბობს, რომ 1957 წელს განხორციელდა მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის. მიმდინარე წლის დამდეგიდან გადიდდა მცირეხელფასიან მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი. ამავე დროს გადიდდა იმ ხელფასის მინიმუმი, რომელიც გადასახადებით არ იბეგრება. სახელმწიფო პენსიების ახალი კანონის შესაბამისად მნიშვნელოვნად გადიდდა პენსიით უზრუნველყოფის ოდენობა, გადიდდა სახელმწიფოს ხარჯები მუშათა, მოსამსახურეთა და სხვა კატეგორიების მშრომელთა პენსიების გასაცემად. შემცირებულ სამუშაო დღეზე გადაყვანილი არიან მუშები, რომლებიც დასაქმებული არიან დონბასისა და ლვოვ-ვოლინის ქვანახშირის რაიონის შახტების მიწისქვეშა სამუშაოებზე, ხორციელდება შავი მეტალურგიის სამთამადნო, მეტალურგიული და ქიმია-ქიმიური საწარმოების მუშა-მოსამსახურეების გადაყვანა შემცირებულ სამუშაო დღეზე.

1957 წელს ნაციონალური შემოსავალი, წინასწარი გამოანგარიშებით, გადიდდება 6 პროცენტით. ნაციონალური შემოსავლის ზრდის შესაბამისად გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის გადიდებულმა რესურსებმა შესაძლებელი გახადა არსებითად გადიდებულიყო სახალხო მოხმარების საგნების წარმოება და ამის საფუძველზე მნიშვნელოვნად გაფართოებულიყო სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქონელბრუნვა, გადიდებულიყო საკოლმეურნეო ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვა. საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 1957 წელს 615 მილიარდი მანეთი იქნება 1956 წლის 541 მილიარდი მანეთის ნაცვლად.

ახლა, როცა წარმოებს ახალი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, რაც დაკავშირებულია ატომგულის ენერგიის მიღებასა და გამოყენებასთან, რაკეტული ტექნიკის განვითარებასა და წარმოების ავტომატიზაციასთან, საბჭოთა კავშირს მოწინავე პოზიციები უკავია მეცნიერულ და ტექნიკურ პროგრესში. ამას მოწმობს მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგურის შექმნა, ატომური ყინულმჭრელის „ლენინის“ წყალში ჩაშვება, რეაქტიული და ტურბინხრახნიანი სამგზავრო გიგანტი თვითმფრინავების სერიული წარმოება, მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ნაწილაკთა დამჩქარებლის — სინქროფაზოტრონის აგება, საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტის შექმნა, რომელსაც შეუძლია მიაღწიოს ყოველ დასახულ მიზანს.

შემდეგ ი. ი. კუზმინი აყალიბებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის ძირითად ამოცანებს.

1958 წლის გეგმა შინაარსით, ამოცანებით და შედგენის მეთოდებით, ამბობს იგი, ბევრად განსხვავდება 1957 წლის გეგმისაგან. 1958 წლის გეგმის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ იგი შემუშავებულია პირობებში, როცა განხორციელებულია დიდი ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის. შექმნილია სახალხო მეურნეობის საბჭოები ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში, ამაღლებულია რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების როლი სამეურნეო დაგეგმვაში. 1958 წლის გეგმა შედგენილია მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალ სისტემასთან შეფარდებით, იგი მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების კომპლექსური გეგმაა დარგებისა და რესპუბლიკების მიხედვით, ითვალისწინებს თვითეული რესპუბლიკის ბუნებრივი და საწარმოო რესურსების უკეთ გამოყენებას და რესპუბლიკებს შორის სამეურნეო ურთიერთობის გაუმჯობესებას.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის დიდმნიშვნელოვანი თავისებურება აგრეთვე ის არის, რომ იგი იმ დიდი წინასწარი მუშაობის შედეგია, რომელიც განხორციელდა საწარმოებში, მშენებლობებზე, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოებში, მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო საგეგმო კომისიებში. ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა მნიშვნელოვნად უფრო მეტად, ვიდრე წინა წლების გეგმებში, გაგვეთვალისწინებინა ეკონომიური რაიონებისა და რესპუბლიკების საწარმოთა შინაგანი რეზერვები და რესურსები, მოწონავე საწარმოო გამოცდილება და წინადადებანი ადგილებიდან.

1958 წლის გეგმასთან ერთად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიმუშავა სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარების დაახლოებითი მონასახები მომავალი საგეგმო პერიოდისათვის — 1959 წლისათვის. ეს პირველად კეთდება დაგეგმვის ნაკლოვანებათა იმ სამართლიან კრიტიკასთან დაკავშირებით, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიაზე გამოითქვა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმა, ამბობს შემდეგ ი. ი. კუზმინი, ითვალისწინებს მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და კულტურული დონის ამაღლებას, ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომ განმტკიცებას, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებას.

ისევე როგორც წინა წლებში, სწრაფი ტემპებით განვითარდება სსრ კავშირის მრეწველობა. 1958 წლის გეგმით გათვალისწინებულია მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა 7.6 პროცენტით. აქედან წარმოების საშუალებათა წარმოებისა 8.3 პროცენტით და მოხმარების საგნების წარმოებისა — 6,1 პროცენტით.

1958 წლის გეგმით გათვალისწინებულია ქიმიური მრეწველობის განვითარების მნიშვნელოვანი დაჩქარება.

გეგმით გათვალისწინებულია ამ დარგში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გადიდება 2,5 მილიარდი მანეთით, ანუ 53,6 პროცენტით 1957 წელთან შედარებით.

1958 წლის გეგმაში დიდი ყურადღება ექცევა ნავთობისა და განსაკუთრებით გაზის, როგორც სათბობისა და ქიმიური პროდუქტების წარმოებისათვის ძვირფასი ნედლეულის ყველაზე ეკონომიურად ხელსაყრელ სახეობათა მოპოვების შემდგომ გადიდებას. ამავე დროს გათვალისწინებულია ნავთობგადამმუშავებელი მრეწველობის სიმძლავრეთა მნიშვნელოვანი მატება, ახალი გაზსადენების, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასაქაჩავი მილსადენების მშენებლობა.

გეგმით დასახულია გადიდდეს ნავთობის მოპოვება 1957 წელთან შედარებით 14 პროცენტით, ნავთობის გადამუშავება — 12 პროცენტით, გაზის მოპოვება და წარმოება — 52 პროცენტით.

ქვანახშირის მრეწველობაში გათვალისწინებულია ქვანახშირის ამოღების გადიდება 26,7 მილიონი ტონით ანუ 5,8 პროცენტით 1957 წელთან შედარებით. მნიშვნელოვნად გადიდდება ქვანახშირის ამოღება ღია წესით განსაკუთრებით ურალში, ეკიბასტუზის საბადოში (ყაზახეთი) და კუზნეცკის აუზში.

ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანა მრეწველობაში 1958 წელს შავი მეტალურგიის განვითარების გაძლიერებაა. თუჯის გამოდნობა გათვალისწინებულია 39,1 მილიონი ტონის რაოდენობით, ანუ 2 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე 1957 წელს, ფოლადისა — 53,6 მილიონი ტონის რაოდენობით, ანუ 2,5 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე 1957 წელს, და ნაგლინის წარმოება — 41,7 მილიონი ტონისა, ანუ 1,8 მილიონი ტონით მეტი, ვიდრე 1957 წელს.

კაპიტალური დაბანდებანი შავ მეტალურგიაში 1958 წელს განსაზღვრულია 12,1 მილიარდი მანეთის მოცულობით, ანუ 3,3 მილიარდით მეტი, ვიდრე 1957 წელს. განსაკუთრებით მკვეთრად გადიდდება კაპიტალური დაბანდებანი რკინის მადნის, ბაზისა და მეტალურგიული ქარხნების მშენებლობაში.

გეგმით გათვალისწინებულია გადიდდეს 1958-1959 წლებში ნაგლინის წარმოების სიმძლავრენი 6,5 მილიონი ტონით წელიწადში. ეს იმდენივეა, რამდენიც ამუშავდა მთელი მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში.

1958 წელს გათვალისწინებულია ამუშავდეს რკინის მადნის მოპოვების სიმძლავრენი 10 მილიონი ტონის რაოდენობით და შეიქმნას ჭარბნაკეთი 1959 წელს რკინის მადნის შახტების, ბრიქეტების, სამთო-გ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია

ამხ. ი. ი. კუზმინის მოხსენების დასასრული

გურთა 5 მილიონ კილოვატზე მეტი სიმძლავრენი და დაიწყოს 5 ახალი მძლავრი თბოსადგურის მშენებლობა.

ენერგეტიკის განვითარებაში ახალი ეტაპია 200-400 ათასი კილოვატი სიმძლავრის რამდენიმე ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა, აგრეთვე მშენებლობა მთელი რიგი საექსპერიმენტო ელექტროსადგურებისა, რომლებსაც ექნებათ ახალი ტიპების ენერგეტიკული რეაქტორები.

1958 წელს გამომუშავებულ იქნება 231 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ელექტროენერგიის წარმოების მატება დასახულია 21,5 მილიარდ კილოვატსაათის ოდენობით. ძირითადი ამოცანა მანქანათმშენებლობის დარგში 1958 წელს ის არის, რომ პირველ რიგში მანქანებით, მოწყობილობით, აპარატებითა და ავტომატებით უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის ის დარგები, რომლებიც ყველაზე სწრაფად ვითარდება, სახელდობრ ქიმიური, ნავთობისა და გაზის მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია. მნიშვნელოვნად გაიზრდება სამაგისტრალო ელმავლებისა და თბომავლების, უფრო ეკონომიური ტრაქტორების წარმოება. გადიდდება ჩარხების პროგრესული ჯგუფების გამოშვება მანქანათმშენებლობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის. დასახულია აგრეთვე დამზადდეს 147 ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზი მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებისათვის.

მსუბუქ და კვების მრეწველობაში 1958 წლის გეგმა ითვალისწინებს მოსახლეობისათვის საქონლის გამოშვების გადიდებას. ყველა სახეობის ქსოვილების გამოშვება 1958 წელს 1957 წელთან შედარებით გადიდდება 75 მილიონი მეტრით. მნიშვნელოვანი ოდენობით გადიდდება ტყავის ფეხსაცმლის წარმოება, რომელიც 1958 წელს გამოშვებულ იქნება 342,2 მილიონი წყვილი, ანუ 28 მილიონი წყვილით მეტი 1957 წელთან შედარებით. მნიშვნელოვნად ფართოვდება საქონლის ასორტიმენტი.

კვების მრეწველობაში ყველაზე ძლიერი ტემპები გაიზრდება ხორცის, ერბო-კარაქისა და რძის სხვა პროდუქტების, შაქრის წარმოება. ხორცისა და რძის მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზრდება 14 პროცენტით, შაქრის წარმოება გადიდდება 18 პროცენტით.

ვისახავთ რა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების ჭეშმარიტად გრანდიოზულ გეგმებს, ვახორციელებთ რა სამრეწველო და საბინაო მშენებლობის, ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების დიდ პროგრამას, ამბობს ამხ. კუზმინი, არ ვიეიწყებთ იმას, რომ საჭიროა დაეიცვათ ჩვენი სამშობლო თავდასხმისაგან. 1958 წლის გეგმა დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს შეიცავს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

მომხსენებელი ამბობს, რომ სოფლის მეურნეობის ძირითადი ამოცანა 1958 წლისათვის არის მარცვლეული, ტექნიკური, ბოსტნეული და საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდება და საერთო მოსავლის შემდგომი ზრდა, ხორცის, ერბო-კარაქის, რძის წარმოების გადიდება. საჭიროა გაგრძელდეს მუშაობა ყამირი და ნასვენი მიწების შემდგომი ათვისებისათვის.

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია 1958 წელს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ვარაუდით, 1957 წელთან შედარებით უნდა გადიდდეს 17 პროცენტით. საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის წილი სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის წარმოებაში 1957 წლის 14 პროცენტიდან გაიზრდება 16,4 პროცენტამდე 1958 წელს.

მოკავშირე რესპუბლიკების მონაცემებით, მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი 1958 წელს 1957 წელთან შედარებით 5 მილიონ ჰექტარზე მეტით გადიდდება და 130 მილიონი ჰექტარი იქნება. მოსავლიანობის გადიდება და ნათესი ფართობების ზრდა საშუალებას მოგვცემს 1958 წელს გავადიდოთ მარცვლეული კულტურების მოსავალი. ნედლი ბამბის დამზადება 1958 წელს გადიდდება 4,5 მილიონ ტონამდე, ესე იგი 4,3 პროცენტით 1956 წელთან შედარებით, შაქრის ჭარხალი დამზადდება 38 მილიონი 100 ათასი ტონა, ესე იგი 21 პროცენტით მეტი 1956 წელთან შედარებით.

ძლიერი ტემპებით განვითარდება მეცხოველეობა, რომლის პროდუქციის წილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობაში 1958 წელს 41 პროცენტს მიაღწევს ნაცვლად 1956 წლის 37 პროცენტისა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების იმ ზრდის უზრუნველსაყოფად, რაც დასახულია 1958 წელს, გათვალისწინებულია მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაძლიერება. სოფლის მეურნეობა მიიღებს 155 ათას ტრაქტორს (ფიზიკურს) ნაცვლად 145 ათასისა, რასაც 1957 წელს იღებს, 135 ათას მარცვლეულის კომბაინს ნაცვლად 128 ათასისა, რასაც წელს იღებს. განსაკუთრებით მკვეთრად გადიდდება მარცვლეული კულტურების ცალკაკე ასაღები საკიდ სამკალთა წარმოება: 1958 წელს ასეთი სამკალი დამზადდება 80 ათასი ნაცვლად 1957 წლის 15 ათასისა.

იმისათვის, რომ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდეს 1958 წლის გეგმა, აღნიშნავს მომხსენებელი, უკეთ უნდა გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების არსებული რეზერვები, შევამციროთ შრომის ხარჯვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთეულზე, შევამციროთ მისი თვითღირებულება კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამ ამოცანების გადაწყვეტა ხელს შეუწყობს კვების პროდუქტების ფასების შემცირებას და საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

ამხ. კუზმინი შემდეგ ეხება რკინიგზის, საზღვაო, სამდინარო, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარების საკითხებს.

ეხება რა კაპიტალური მშენებლობის საკითხებს, მომხსენებელი ამბობს, რომ 1958 წლის გეგმაში გათვალისწინებულია სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 198,8 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ თითქმის 14 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე 1957 წელს.

ამხ. კუზმინი აღნიშნავს, რომ 1958 წლის გეგმაში გათვალისწინებულია გადიდდეს შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში საშუალოდ 5,4 პროცენტით, მშენებლობაში — 8,5 პროცენტით.

მოხსენებაში შემდეგ გაშუქებულია მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების საკითხები. 1958 წელს სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი გაიზრდება დაახლოებით 8 პროცენტით. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი მთელ სახალხო მეურნეობაში 1958 წელს გადიდდება 54,4 მილიონ კაცამდე ნაცვლად 1957 წლის 52,6 მილიონი კაცისა. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის გადიდებისა და საშუალო ხელფასის ზრდის შედეგად ხელფასის ფონდი მთლიანად სახალხო მეურნეობაში გაიზრდება. გადიდდება მუშა-მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდის და შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად გადიდდება კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი.

სსრ კავშირის მშრომელთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა გამოიხატება იმ ასიგნობებით, რომლებსაც სახელმწიფო ბიუჯეტი ითვალისწინებს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის. 1958 წლის გეგმაში ეს ასიგნობანი გათვალისწინებულია 212 მილიარდი მანეთის ოდენობით, რაც ნიშნავს ზრდას თითქმის 14 მილიარდი მანეთით 1957 წელთან შედარებით.

1958 წელს მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში გაგრძელდება მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანა შემცირებულ სამუშაო დღეზე. გათვალისწინებულია აგრეთვე განხორციელდეს ხელფასის მოწესრიგება მრეწველობის მთელ რიგ დარგებში.

მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის ერთ-ერთი მაჩვენებელი, ამბობს მომხსენებელი, საქონელბრუნვის განვითარებაა. მოსახლეობის მყიდველობითი ფონდის ზრდის შესაბამისად სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 1958 წლისათვის იგეგმება 660 მილიარდი მანეთის ოდენობით, ესე იგი 45 მილიარდ მანეთით მეტი, ვიდრე 1957 წელს.

1958 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა ითვალისწინებს საბინაო მშენებლობის მნიშვნელოვან განვითარებას. დასახულია აშენდეს და მწყობრში ჩადგეს საცხოვრებელი სახლები 61 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით ნაცვლად 1957 წლის 48 მილიონი კვადრატული მეტრისა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად, რომელსაც თანმიმდევრულად ახორციელებს კომუნისტური პარტია, 1958 წელს უზრუნველყოფილ იქნება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობა.

შეეხო რა საგარეო ვაჭრობის საკითხებს, ი. ი. კუზმინმა განაცხადა რომ 1958 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის საქონლის ფართო გაცვლას სოზღვარგარეთის სახელმწიფოებთან, აგრეთვე სხვა ფორმების ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებას. განსაკუთრებით წარმატებით ვითარდება ეკონომიური ურთიერთობა სოციალისტურ სახელმწიფოებთან, რასაც საფუძვლად უდევს ინტერესებისა და მიზნების ერთობა სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ურთიერთ დახმარება და მხარდაჭერა. სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის $^{2}/_{3}$-ზე მეტი მოდის მსოფლიო სოციალისტურ ბაზარზე.

1958 წელი, ამბობს ი. ი. კუზმინი, ჩვენი ქვეყნის ყველა ეკონომიური რაიონის ახალი მძლავრი აღმავლობის წელი უნდა გახდეს. სახალხო მეურნეობის საბჭოებმა და ადგილობრივმა ორგანოებმა ახლა ბოლომდე უნდა გამოიყენონ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალი სისტემის უპირატესობანი.

საბჭოთა კავშირი წლითიწლობით სულ უფრო მტკიცედ უახლოვდება იმ უმნიშვნელოვანეს ლენინური ანდერძის შესრულებას, რომ ეკონომიურად დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

საბჭოთა სამეურნეო გეგმების ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მიმართულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებისაკენ და ითვალისწინებენ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელ გაუმჯობესებას და კულტურული დონის ამაღლებას, ამიტომ ისინი მახლობელი და გასაგებია ხალხისათვის.

საბჭოთა ადამიანები, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, არ დაიშურებენ ძალებს იმისათვის, რომ თავიანთი შემოქმედებითი შრომით გაამრავლონ ეკონომიური ძლიერება ჩვენი სამშობლოსი, რომელიც კაცობრიობას მძლავრი შუქურასავით უნათებს გზას წინ, ბედნიერი კომუნისტური მომავლისაკენ!

* * *

შემდეგ მოხსენება სსრ კავშირის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გააკეთა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა **ა. გ. ზვერევმა.**

ამხ. ა. გ. ზვერევის მოხსენება

მომხსენებელი ამბობს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი სსრ კავშირის 1958 წლის ბიუჯეტი საბჭოთა სახელმწიფოს ვრცელი ფინანსური პროგრამაა და უზრუნველყოფს ყველა იმ ღონისძიების დაფინანსებას, რომლებიც 1958 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

მომავალი წლის ბიუჯეტით დიდი თანხებია გათვალისწინებული მძიმე მრეწველობის განვითარებისა და ტექნიკური პროგრესის გაძლიერებისათვის სახალხო მეურნეობაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისათვის, საბინაო მშენებლობის მნიშვნელოვანი გადიდებისათვის, საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

სანამ 1958 წლის ბიუჯეტის დახასიათებაზე გადავიდოდა, ა. გ. ზვერევმა მოახსენა სხდომას 1956 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითადი მაჩვენებლები და 1957 წლის ბიუჯეტის შესრულების წინასწარი შედეგები.

1956 წლის ბიუჯეტი შესრულებულია შემოსავლის ნაწილში 585,9 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ 101 პროცენტით, გასავლის ნაწილში — 563,5 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ 101,2 პროცენტით; შემოსავალი გასავალს აღემატება 22,4 მილიარდი მანეთით.

1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წინასწარი მონაცემებით, სახელმწიფო სესხთა შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით, შესრულდება შემოსავლის ნაწილში 614,5 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ 100,4 პროცენტით. ხოლო გასავლის ნაწილში — 598,2 მილიარდი მანეთის ოდენობით, ანუ 99,9 პროცენტით. მოსალოდნელია, რომ შემოსავალი გასავალს გადაჭარბებს 16,3 მილიარდი მანეთით.

1957 წელს სახალხო მეურნეობისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად გაწეულმა ბიუჯეტის ხარჯებმა უზრუნველყო სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დიდი პროგრამის განხორციელება, სასწავლებელთა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება. ბიუჯეტის დიდი სახსრები — 79,4 მილიარდი მანეთი მოხმარდა სოციალურ უზრუნველყოფას და სოციალურ დაზღვევას.

შემდეგ მინისტრი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საჭირო სახსრებით უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებას, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას. ბიუჯეტის მოცულობა განსაზღვრულია შემოსავლის ნაწილში 641,9 მილიარდი მანეთის და გასავლის ნაწილში 626,7 მილიარდი მანეთის ოდენობით; შემოსავალი გასავალს აღემატება 15,2 მილიარდი მანეთით.

ჩვენი ქვეყნის ნაციონალური შემოსავალი 1958 წელს მიმდინარე წელთან შედარებით იზრდება 8 პროცენტით, რაც სახელმწიფოს მატერიალური და ფინანსური რესურსების ზრდის საფუძველია.

მომხსენებელი დაწვრილებით ახასიათებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად სახეობებს. ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად ნაწილს შეადგენს სოციალისტური მეურნეობის შემოსავალი. 1958 წელს ეს შემოსავალი დიდდება 44,7 მილიარდი მანეთით, ანუ 8,5 პროცენტით 1957 წლისათვის დამტკიცებულ თანხასთან შედარებით. მაშინ როცა მოსახლეობის სახსრების შემოსვლა მცირდება 20 მილიარდი მანეთით, ანუ 21,4 პროცენტით. ბიუჯეტში სოციალისტური მეურნეობისაგან შემოსავლის ხვედრითი წონა შესაბამისად დიდდება 1957 წლის 85 პროცენტიდან 88,7 პროცენტამდე 1958 წელს.

მომხსენებელმა შემდეგ დაწვრილებით დაახასიათა სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადთა შემოსვლის სხვადასხვა წყარო და აღნიშნა, რომ ჩვენი ბიუჯეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო კვლავ არის ბრუნვის გადასახადის შემოსვლა, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მოგების ანარიცხები. მომხსენებელმა აცნობა დეპუტატებს, რომ მთავრობამ, გაითვალისწინა რა სოციალისტური საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან სახელმწიფოს შემოსავლის გადიდება, განიხილა უცოლშვილო-უქმაოშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა შემდგომი დაბეგვრის საკითხი და შესაძლოდ ცნო 1958 წლის 1 იანვრიდან განთავისუფლებულ იქნას ამ გადასახადისაგან ყველა ის პირი, რომლებსაც შვილები ჰყავთ, აგრეთვე მარტოხელა (გაუთხოვარი და ქვრივი) ქალები, რომლებსაც შვილები არა ჰყავთ. ამის შედეგად ამ გადასახადის გადამხდელთა თითქმის 85 პროცენტი მთლიანად განთავისუფლდება დაბეგვრისაგან, ხოლო გადასახადის შემოსვლა შემცირდება დაახლოებით 6 მილიარდი მანეთით წელიწადში.

შემოგვ მომხსენებელი ახასიათებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებს. იგი ამბობს, რომ გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის 1958 წელს ბიუჯეტიდან გამოიყოს 257,1 მილიარდი მანეთი. ამაში არ შედის 155,7 მილიარდი მანეთი, რაც იხარჯება სამეურნეო ორგანიზაციების მოგებიდან და სხვა საკუთარი სახსრებიდან. სახალხო მეურნეობისათვის დანახარჯების საერთო თანხა 1957 წელთან შედარებით დიდდება 9,7 პროცენტით.

მრეწველობის ყველა დარგის განვითარებისათვის მომავალ წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა 129 მილიარდი მანეთი. ყველაზე დიდი თანხები ხმარდება შავ მეტალურგიას, ქიმიურ და ნავთობის მრეწველობას. მნიშვნელოვანი ასიგნობანი ხმარდება აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებელ საწარმოთა საწარმოო სიმძლავრეების გადიდებას, კვების მრეწველობის გაფართოებას, მსუბუქი მრეწველობის საწარმოების სიმძლავრეთა ზრდას.

1958 წლის კაპიტალურ სამშენებლო საერთო მოცულობა გათვალისწინებულია 198.8 მილიარდი მანეთის ოდენობით — 7 პროცენტით მეტი, ვიდრე 1957 წელს. ამასთან გათვალისწინებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების შემცირება 4,6 პროცენტით ხარჯთაღრიცხვებთან შედარებით.

1958 წელს სოფლის მეურნეობაში დაბანდდება 65,2 მილიარდი მანეთი, აქედან ბიუჯეტით 53,4 მილიარდი მანეთი და სამეურნეო ორგანიზაციების საკუთარი სახსრებიდან — 11,8 მილიარდი მანეთი.

მნიშვნელოვნად ფართოვდება განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები. 1958 წელს ეს ხარჯები განსაზღვრულია 212,2 მილიარდი მანეთით, ნაცვლად 1957 წლის 188,4 მილიარდი მანეთისა.

ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებისა და ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის სხვა ღონისძიებებისათვის მომავალ წელს დაიხარჯება 37,4 მილიარდი მანეთი. კადრების მომზადების ხარჯები 22,4 მილიარდი მანეთი იქნება.

1958 წელს დასახულია სამედიცინო დაწესებულებათა ქსელის შემდგომი გაფართოება და სამედიცინო დაწესებულებებით მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესება. ამ მიზნისათვის ბიუჯეტის ხარჯები დაპროექტებულია 39,7 მილიარდი მანეთის ოდენობით.

სოციალურ დაზღვევასა და უზრუნველყოფას მომავალ წელს მოხმარდება 88,2 მილიარდი მანეთი, ანუ 16,8 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე 1957 წელს.

სახელმწიფოს ხარჯები მეცნიერების განვითარებისათვის 1958 წელს დიდდება 1,8 მილიარდი მანეთით და იქნება 18,2 მილიარდი მანეთი, აქედან 15 მილიარდი ბიუჯეტიდან.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ამბობს შემდეგ მომხსენებელი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ 1956 და 1957 წლებში განახორციელეს მთელი რიგი დიდი ღონისძიებები საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის. ეს არის მთელი რიგი კატეგორიების მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადიდება, პენსიით უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დასაბაზადებელი და შესასყიდი ფასების გადიდება, მოსახლეობის დაბეგვრის შემცირება, სახელმწიფო სესხების გაუქმება და სხვ. 1958 წელს სახელმწიფოს დამატებითი ხარჯები ამ ღონისძიებებისათვის დაახლოებით 63 მილიარდი მანეთი იქნება. ამის შედეგად მნიშვნელოვნად დიდდება მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნე გლეხობის რეალური შემოსავალი. ხელფასის ფონდების ზრდის გათვალისწინებით მუშა-მოსამსახურეთა შემოსავალი 1958 წელს 1955 წელთან შედარებით გადიდდება დაახლოებით 120 მილიარდი მანეთით. კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს ფულადი შემოსავალი ექნებათ დაახლოებით 40 მილიარდი მანეთით მეტი 1955 წელთან შედარებით, ამავე დროს გაიზრდება პროდუქცია, რომელიც შრომადღეებზე ნაწილდება.

გათვალისწინებულია ასიგნობათა შემდგომი ზრდა საბინაო მშენებლობისათვის. სახელმწიფო საბინაო მშენებლობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 1958 წელს 36,8 მილიარდი მანეთი იქნება. გარდა ამისა, საბინაო მშენებლობას დიდი თანხები მოხმარდება სამეურნეო და კოოპერაციული ორგანიზაციების სახსრებიდან, აგრეთვე ბანკის კრედიტები.

ახმარს რა მატერიალური და ფინანსური რესურსების [illegible] ეკონომიკის და ხალხის კეთილდღეობის — [illegible] სსრ კავშირის სახელმწიფო, ხაზგასმით აღნიშნავს მომხსენებელი, თანამედროვე საერთაშორისო ვითარების პირობებში არ შეიძლება ამავე დროს არ ითვალისწინებდეს, რომ საჭიროა ქვეყნის უმშრომელობის უზრუნველყოფა და მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. თავდაცვის ხარჯები 1958 წლის ბიუჯეტით დაპროექტებულია 96,3 მილიარდი მანეთის ოდენობით ნაცვლად 1957 წლის 96,7 მილიარდი მანეთისა. 1955 წელთან შედარებით თავდაცვის ხარჯები მცირდება 15,8 მილიარდი მანეთით. ეს მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი განუხრელად ახორციელებს მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების პოლიტიკას.

სახელმწიფო მმართველობის შესანახი ხარჯები დაპროექტებულია 11.963 მილიონი მანეთის ოდენობით.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნასთან და სამეურნეო მშენებლობაში მოკავშირე რესპუბლიკების როლის გადიდებასთან დაკავშირებით მკვეთრად გაიზარდა ამ რესპუბლიკების ბიუჯეტების მოცულობა. 1958 წელს მათი ბიუჯეტები დაპროექტებულია 319,1 მილიარდი მანეთის ოდენობით, ნაცვლად 1957 წლის 194,1 მილიარდი მანეთისა.

დასასრულ მომხსენებელი ამბობს:

— ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის 1958 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია მობილიზაცია უდიდესი ფულადი სახსრებისა, რომლებიც საჭიროა მეურნეობის განვითარების, სოციალურ-კულტურული მშენებლობისა და სახელმწიფოს სხვა მოთხოვნილებათა შეუფერხებელი დაფინანსებისათვის. 1958 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის შემდგომ წინსვლას კომუნიზმის გზით.

* * *

თავმჯდომარე დეპუტატი ვ. ტ. ლაცისი აცხადებს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფისაგან შემოვიდა შეკითხვა საბჭოთა კავშირის მთავრობისადმი, რომელშიც ნათქვამია:

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ, პრესის ცნობების მიხედვით, დასავლეთის ქვეყნებში, რომლებიც ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში შედიან, გრძელდება „ცივი რომის“ გაღვივების ცდები. ეს თავის მხრივ იწვევს გამალებული შეიარაღების გაძლიერებას, რასაც მოწმობს ზოგიერთი ამ ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეთა განცხადებაც.

დეპუტატები სთხოვენ საბჭოთა მთავრობას აცნობოს მათ, თუ რა მდგომარეობაშია განიარაღების საკითხების განხილვა სახელმწიფოთა შორის.

შეკითხვას ხელს აწერენ დეპუტატები: ა. ბაკულევი, პ. ბიკოვი, ს. კამალოვი, მ. იბრაჰიმოვი, მ. მატერიკოვა, ვ. გრიშინი, ნ. პუზანჩიკოვი, ნ. ტიხონოვი, პ. ტიჩინა.

ვ. ტ. ლაცისმა აცნობა დეპუტატებს, რომ მათი შეკითხვა გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პასუხი შეკითხვაზე გაცემულ იქნება სესიის მსვლელობაში.

* * *

ამით დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

20 დეკემბერს სესია მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

უნგრეთის თეატრალური ხელოვნების მოღვაწეები საქართველოში

საქართველოში შვიდ დღეს იყვნენ სტუმრად უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თეატრალური ხელოვნების მოღვაწეები — რეჟისორი მ. შალოში და მსახიობი მ. პალოში. ისინი დაინტერესდნენ რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობით, შეხვდნენ თბილისის წამყვანი თეატრების კოლექტივებს.

უნგრეთის თეატრალური მოღვაწეები დაესწრნენ ოპერა „რიგოლეტოს“ და ბალეტ „ჟიზელს“ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ნახეს სპექტაკლები „ესპანელი მღვდელი“ რუსთაველის სახელობის თეატრში და „ხეები ზეზეულად კვდებიან“ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

სტუმრებმა გაიცნეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, საქართველოს ძველი დედაქალაქის — მცხეთის ისტორიული ძეგლები, იყვნენ ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში საგურამოში.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თეატრალური ხელოვნების მოღვაწეები მ. შალოში და მ. პალოში 19 დეკემბერს მოსკოვს გაფრინდნენ. ისინი თბილისის აეროპორტში გააცილეს თბილისის თეატრებისა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მუშაკებმა. (საქდესი).

ჩეხოსლოვაკიის მხატვრები საქართველოში

საქართველოში ერთ კვირას იყვნენ სტუმრად ჩეხოსლოვაკიის მხატვრები პავლე ფოდორი და ირინე მეზსარაევა, რომელნიც საბჭოთა კავშირში იმყოფებიან სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოწვევით. მათ გაიცნეს რესპუბლიკის კულტურული ცხოვრება, ხუროთმოძღვრების ძველი ძეგლები, მათი რესტავრაცია და დაცვა, შეხვდნენ ქართველ არქიტექტორებსა და მხატვრებს.

სტუმრები იყვნენ დუშეთის რაიონში, სადაც დაათვალიერეს XVI-XVII საუკუნეებში აგებული ანანურის ციხე, საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში მათი ყურადღება მიიპყრო სვეტიცხოვლის ტაძარმა, რომელიც ქართველმა ხუროთმოძღვრებმა ააგეს XI საუკუნის დამდეგს. გორის რაიონის სოფელ ატენში მათ უჩვენეს VII საუკუნის არქიტექტურული ნაგებობის დღემდე შენახული ფრესკები.

ჩეხოსლოვაკიის მხატვრებმა დაათვალიერეს საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, საცხოვრებელი სახლების არქიტექტურული ანსამბლები. საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში სტუმრებს უჩვენეს ძველი ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრებისა და ოქრომჭედლობის ნიმუშები.

ჩეხოსლოვაკიის სახვითი ხელოვნების ოსტატები რუსთაველის სახელობის თეატრში დაესწრნენ სოფოკლეს ტრაგედიის — „ოიდიპოს მეფის“ წარმოდგენას. ისინი იყვნენ აგრეთვე საქართველოს სახალხო მხატვრის სტალინური პრემიის ლაურეატ უჩა ჯაფარიძის სახელოსნოში.

სტუმრები გუშინ, 19 დეკემბერს თვითმფრინავით მოსკოვს გაფრინდნენ. ისინი თბილისის აეროპორტში გააცილეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის წარმომადგენლებმა. გაუზიარეს რა საქდესის კორესპონდენტს საქართველოში ყოფნით მიღებული შთაბეჭდილებანი, პ. ფოდორმა და ი. მეზსარაევამ განაცხადეს:

— საქართველოში ყოფნამ საშუალება მოგვცა გაგვეცნო ქართველი ხალხის ძველი კულტურა, რომლისადმი ჩვენს ქვეყანაში დიდ ინტერესს იჩენენ. ქართველმა ხალხმა მრავალი საუკუნის მანძილზე შექმნა მატერიალური და სულიერი კულტურის შესანიშნავი ძეგლები, რომლებიც მისი სიამაყეა.

რესპუბლიკაში საუცხოოდ არის დაყენებული კულტურის ძველი ძეგლების დაცვის საქმე. ჩვენ შევიტყეთ, რომ 5 ათასი ძველი ძეგლიდან, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მოიპოვება, 2.500-ზე მეტი შესწავლილია და სახელმწიფო იცავს. ყველაზე უფრო განსაცვიფრებელია უდიდესი ზრუნვა, რასაც თვითონ მშრომელები იჩენენ ძეგლებისადმი. (საქდესი).

პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებები ახალი გამარჯვებებისათვის აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხს

★

მეეღმავლეთა ხმა

თბილისის საელმავლო დეპოში აგიტატორმა ვ. ბატკუაშვილმა საუბარი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებებს მიუძღვნა. მან თქვა:

— პლენუმის დადგენილება, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, ნათლად მეტყველებს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირების ნაყოფიერ შედეგებზე. საყოველთაო მშვიდობის ბედისათვის, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი წარმოადგენენ უდიდეს მაორგანიზებელ დოკუმენტებს.

— დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი, რომლებსაც მთლიანად იწონებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, — თქვა აგიტატორმა, — დიდმნიშვნელოვანი დადგენილებები მიიღო. მათში მთელი სიცხადით გამოხატულია საბჭოთა ადამიანების

თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის მეორე სამკერვალო საამქროს მეოთხე ბრიგადაში აგიტატორი ნათელა ხუციშვილი მუშებს აცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მკერავთა საწარმოო აღმავლობა

თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის მეორე სამკერვალო საამქროს ბრიგადის წევრები შესვენებაზე წითელ კუთხეში შეიკრიბნენ. აგიტატორმა ნ. ხუციშვილმა მათ გააცნო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებები კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შედეგებისა და სსრ კავშირის პროფკავშირების მუშაობის შესახებ.

— ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, — თქვა აგიტატორმა, — დიდმნიშვნელოვანი დადგენილებები მიიღო. მათში მთელი სიცხადით გამოხატულია საბჭოთა ადამიანების მისწრაფება მშვიდობისადმი, დასახულია მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის დიდი ამოცანები.

აგიტატორის საუბრის შემდეგ სიტყვით გამოვიდა მკერავი თ. ბუგიანიშვილი. მან განაცხადა:

— მშვიდობისადმი ხალხთა მძლავრ მისწრაფებას ასახავს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, რომელიც პასუხად პირობას ვდებ ყოველდღიურად გეგმები 200 პროცენტით შევასრულო, აქტიური მონაწილეობა მივიღო ჩვენი ფაბრიკის პროფკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში.

— საბჭოთა ხალხი თავადადებით შრომობს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, — თქვა მკერავმა ლ. ფუტურმა. — წარმატებებს აღწევს ჩვენი ფაბრიკაც. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს ახალი შრომითი აღმავლობით ვუპასუხებთ. პირადად მე ვეცდები უმთავრესად გამოვუშვა პირველი ხარისხის პროდუქცია, დავზოგო ელექტროენერგია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებები მოიწონეს და გაზრდილი საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე მკერავებმა ზ. ვეშაპიძემ, რ. დანმიანცმა, ე. მარტიროსიანმა, ა. ბარაბანჩიკოვამ და სხვებმა.

თავდადებული შრომით დავიცავთ მშვიდობას

— კომუნისტური პარტია მშვიდობის დაცვის განუხრელ პოლიტიკას ახორციელებს. ჩვენ, მუშები, ყოველდღიური საწარმოო მოღვაწეობით კიდევ უფრო შევუწყობთ ხელს მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების საქმეს, — განაცხადა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სატენდერო საამქროს ოპერატორმა ზ. გოგიჩაიშვილმა ამავე საამქროს ოპერატორის აგიტატორ გ. ხეოომიას საუბრის შემდეგ, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლახან გამართული პლენუმის დადგენილებებს. ამავე საამქროში გუშინ საუბრები მოაწყეს აგიტატორებმა საამქროს ოსტატმა ო. ვაშაკიძემ და მექვაბე ნ. ბერეზანსკიმ.

საქვაბე საამქროს ოსტატმა აგიტატორმა გ. ზანგურაშვილმა განაცხადა:

— პროფკავშირული ორგანიზაცია ზრუნავს ჩვენი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ჩვენი მუშაობა პლენუმის დადგენილებებს უნდა უპასუხებდეს. ამ საკითხზე ელაპარაკეს მექვაბეებმა ა. სოხაძემ და გ. ბაბაევმა, რომლებიც ყოველთვიურ გეგმას 250-300 პროცენტით ასრულებენ.

სადურგლო საამქროში გამართული საუბრების დროს სიტყვები წარმოთქვეს ზეინკალმა ა. ფარაგიშვილმა, წუნმდებელმა ს. ბაბალიანმა, დურგალმა მ. სანდარაძემ და სხვებმა. ისინი ერთხმად იწონებენ იდეებს, რომლებიც გამოთქმულია კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირებზე მიღებულ დეკლარაციასა და მშვიდობის მანიფესტში, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებებში.

ორმოცი წელი საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების სადარაჯოზე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ორმოცი წლის წინათ, 1917 წლის 20 დეკემბერს, ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მებრძოლი ორგანოს — კონტრრევოლუციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ ბრძოლის სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შექმნის შესახებ.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია შექმნილ იქნა შეთქმულებათა, ამბოხებათა ჩასახშობად საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკის შიგნით, შინაური და გარეშე კონტრრევოლუციის ძირგამომთხრელი საქმიანობის აღსაკვეთად.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სათავეში პარტიამ დააყენა თავისი ერთგული შვილი — რევოლუციის უშიშარი რაინდი ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკი.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკები, რომლებიც მოწოდებული არიან იდგნენ ოქტომბრის ისტორიულ მონაპოვართა სადარაჯოზე, ფხიზლად იცავენ სოციალისტური სამშობლოს უშიშროებას კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელმაც ისინი აღზარდა.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მთელი მოღვაწეობა განუყოფელად დაკავშირებულია საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის ძლევამოსილი მშენებლობისათვის ჩვენი პარტიის ბრძოლის ისტორიასთან. თავიანთი არსებობის მეორმოცე წლისთავს ჩეკისტური ორგანოები ხვდებიან საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე შინაური და გარეშე კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილებით გამდიდრებულნი.

სოციალისტური რევოლუციის მიერ დამხობილ ბურჟუაზიას არ უნდოდა უბრძოლველად დაგვნებებოდა. საერთაშორისო კაპიტალიზმის მხარდაჭერაზე დაყრდნობით ექსპლოატატორულმა კლასებმა ოქტომბრის პირველივე დღეებიდან ბევრჯერ სცადეს დაებრუნებინათ ძალაუფლება, მიმართავდნენ რა ბრძოლის უაღრესად გააფთრებულ მეთოდებს. ამერიკელ-ინგლისელმა და ფრანგმა იმპერიალისტებმა მოაწყეს სამხედრო ინტერვენცია საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, ანტისაბჭოთა შეთქმულებანი და კონტრრევოლუციური ამბოხებანი.

იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის ერთერთი აუცილებელი პირობა იყო დამხობილი ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობის ულმობლად ჩახშობა. სამოქალაქო ომის შფოთიან წლებში სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ორგანოებმა გაანადგურეს მრავალი კონტრრევოლუციური შეთქმულება, ისეთები, როგორიც იყო ლოკარტის შეთქმულება, „ტაქტიკური ცენტრის“, „ეროვნული ცენტრის“ და ბევრი სხვა შეთქმულება.

საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში საქართველოს ჩეკისტებმაც მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური ორგანიზაციების გამოვლინებისა და მხილებისათვის, რომლებიც ამოცანად ისახავდნენ საქართველოს ჩამოშორებას საბჭოთა კავშირისაგან.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ორგანოების წარმატებანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში უზრუნველყოფილი იყო იმით, რომ იგი მუშაობდა პარტიის მუდმივი და უშუალო ხელმძღვანელობით და მას აქტიურად უჭერდნენ მხარს მშრომელთა ფართო მასები.

შეფასებას აძლევდა რა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის საქმიანობას, ვ. ი. ლენინი ამბობდა:

„ეს ის დაწესებულებაა, რომელიც შემმუსვრელი იარაღი იყო ჩვენს ხელში უამრავი შეთქმულების, საბჭოთა ხელისუფლებაზე უამრავი ხელყოფის წინააღმდეგ იმ ადამიანების მხრივ, რომლებიც ჩვენზე უსაზღვროდ უფრო ძლიერი იყვნენ... ასეთი დაწესებულების უქონლად მშრომელთა ხელისუფლება ვერ იარსებებს, ვიდრე იარსებებენ ქვეყნად ექსპლოატატორები...“ (თხზ., ტ. 33, გვ. 197-198).

ფარული „საიდუმლო ომი“, რომელსაც იმპერიალისტური ქვეყნების დაზვერვები ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ აწყობდნენ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ორმოცი წლის მანძილზე, ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა. უცხოეთის დაზვერვები გზავნიდნენ და გზავნიან საბჭოთა კავშირში ჯაშუშებს, დივერსანტებსა და ტერორისტებს. ამასთან იცვლება ძირგამომთხრელი საქმიანობის ფორმები და მეთოდები, მაგრამ ამ საზიზღარი მუშაობის არსი და ხასიათი უცვლელი რჩება.

შეიარაღებული ძალით საბჭოთა ხელისუფლების დამხობის თავის ცდებში მარცხი რომ განიცადა, იმპერიალისტური აგენტურა ეკონომიური კონტრრევოლუციის გზას დაადგა.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა, რომლებიც გარდაქმნილ იქნენ გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოდ, ხოლო შემდეგ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატად, დაძაბული ბრძოლა გააჩაღეს მავნებლობასთან მრეწველობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში. მათ ამხილეს მრავალი კონტრრევოლუციური მავნებლური ორგანიზაცია — „მახტელებისა“, „სამრეწველო პარტიისა“, ინგლისური ფირმის „მეტრო-ვიკერსის“ აგენტებისა, ეგრეთწოდებული „გლეხთა შრომითი პარტიისა“, „მენშევიკების საკავშირო ბიუროსი“, მოახდინეს მათი ლიკვიდაცია და ამით მთელი რიგი გამზადგურებელი დარტყმები მიაყენეს იმპერიალისტთა ზრახვებს ხელი შეეშალათ სოციალისტური მშენებლობისათვის ქვეყნის სახალხო მეურნეობის დეზორგანიზაციის გზით. ამ მავნებლური ორგანიზაციების განადგურებამ ხელი შეუწყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას.

ომისწინა წლებში სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწიეს გერმანიისა და იაპონიის დაზვერვათა მიერ საბჭოთა ტერიტორიაზე შემოგზავნილი ჯაშუშების, დივერსანტებისა და ტერორისტების გამოსავლინებლად და შესაპყრობად, რამაც არსებითად შებოჭა მტრული დაზვერვებისა და საზღვარგარეთის ანტისაბჭოთა ორგანიზაციების მოქმედება.

როცა საბჭოთა კავშირს ვერაგულად დაესხა თავს ჰიტლერული გერმანია, სახელმწიფო უშიშროების საბჭოთა ორგანოების მთელი მუშაობა დაქვემდებარებულ იქნა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების ამოცანისადმი.

საბჭოთა მზვერავები აღკვეთდნენ ხოლმე გერმანიის სადაზვერვო ორგანოების საქმიანობას, რომლებიც ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობისათვის საბჭოთა არმიის ზურგში თავიანთი ჯაშუშების შემოგზავნის გზით. ასობით გერმანელი აგენტი შეპყრობილ და გაუვნებლებულ იქნა მოსახლეობის დახმარებით, კერძოდ, შექმნილი გამანადგურებელი რაზმების დახმარებით.

საბჭოთა მზვერავების მაღალი ოსტატობის მეოხებით ფაშისტურმა აგენტურამ ვერ შეძლო შეესრულებინა მის წინაშე დასახული ამოცანები და ომის მთელი დროის განმავლობაში წარმატება არ ჰქონია გერმანელთა არცერთ რაზმიანდამე სერიოზულ სადაზვერვო ღონისძიებას.

გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დაძაბული ბრძოლის წლებში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა შეიპყრეს ბევრი გერმანელი აგენტი და ქართველ მენშევიკთა საზღვარგარეთის ბიუროს ემისრები, რომლებიც რესპუბლიკაში შემოგზავნილი იყვნენ ძირგამომთხრელი მუშაობის მოსაწყობად.

ჩეკისტების — პატიოსანული რაზმების ხელმძღვანელების საბჭოთა კავშირის გმირების ორლოვსკის, მედვედევის, სოლნცევისა და სხვების განთქმული სახელები სამუდამოდ შეიჭედა გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ დიდი სამამული ომის გმირულ ისტორიაში. ათასობით ჩეკისტი დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით. ბევრმა მათგანმა თავი დასდო სამშობლოს მტერთან ბრძოლაში.

სოციალისტური ბანაკის ძალების განუხრელი ზრდა იმპერიალისტების გაცოფებასა და გააფთრებას იწვევს.

იმპერიალისტები ააქტიურებენ თავიანთ მტრულ მუშაობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამერიკის მმართველმა წრეებმა სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დონეზე აიყვანეს და ჯაშუშობისა და დივერსიის მიზნებისათვის მილიონობით დოლარს ხარჯავენ.

ამერიკის სადაზვერვო ორგანოები, როგორც უნგრეთში 1956 წლის შემოდგომაზე მომხდარმა ამბებმა ცხადყო, თავხედურად და აგრესიულად მოქმედებენ, არავითარ საშუალებას არ ერიდებიან დასახული მიზნის მიღწევისათვის. ეს ავლენს ჩეკისტებს დროულად აღკვეთონ მტრული აგენტურის მოქმედება. უკანასკნელ წლებში სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა მესაზღვრე ჯარებთან ერთად, რომლებიც ფხიზლად დგანან საბჭოთა საზღვრების სადარაჯოზე, იმპერიალისტურ დაზვერვათა ხრიკების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში შეიპყრეს და ამხილეს ამერიკის, ინგლისის, შვეიცის, თურქეთისა და სხვა დაზვერვების მიერ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არალეგალურად შემოგზავნილი ბევრი ჯაშუში და დივერსანტი. მათ შორის საქართველოს ჩეკისტებმა შეიპყრეს ამერიკის ჯაშუში კურორჩინი, თურქეთის აგენტები ზეინალოვი, ასლანოვი და სხვები.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად მთელი თავიანთი თავდადებული საქმიანობით საბჭოთა ადამიანების სიყვარული და ნდობა დაიმსახურეს. მაგრამ წარმატებანი ჩეკისტების მუშაობაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, საბჭოთა ხალხის მტრებთან ბრძოლის ხანგრძლივ და მძიმე გზაზე მათს მუშაობაში უარყოფითი მოვლენები რომ არ ყოფილიყო.

ჯერ კიდევ 1919 წლის 8 თებერვალს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში კომუნისტი ჩეკისტებისადმი მითითებული იყო, რომ საგანგებო კომისიები შექმნილი არიან და არსებობენ როგორც პარტიის ორგანოები, რომლებიც მისი დირექტივებითა და მისი კონტროლით მუშაობენ.

საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის ბერიას ბანდამ, რომელიც მოტყუების გზით გაძვრა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელობაში, ისახავდა რა მტრულ მიზნებს, სცადა გამოეყენა ჩეკისტური ორგანოები პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების კონტროლიდან, დაეყენებინა ისინი პარტიისა და მთავრობის ზევით, შეექმნა ჩეკისტურ ორგანოებში უკანონობისა და თვითნებობის ვითარება. ბერიას, აბაკუმოვის ხროვა აძნელებდა ბრძოლას საბჭოთა სახელმწიფოს ნამდვილი მტრების წინააღმდეგ.

ბერიამ და მისმა ხელქვეითებმა განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენეს ქართველ ხალხს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ბერიას ბანდის დანაშაულებრივი საქმიანობის მხილებას ღრმა კმაყოფილების გრძნობით შეხვდა მთელი საბჭოთა ხალხი, მათ შორის ჩეკისტთა კოლექტივიც, რომელიც აღზრდილია პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოები, რომლებიც სისხლხორცეულად არიან დაკავშირებულნი ხალხთან და განუყრელი არიან მისგან, მუდამ ხვდებიან ყველა საბჭოთა ადამიანის მხარდაჭერასა და დახმარებას.

საქართველოს მოსახლეობა ზოგჯერ სიცოცხლის რისკით დახმარებას უწევს ჩეკისტებს მტრული ელემენტების მხილებასა და ლიკვიდაციაში. მტრის აგენტის შეპყრობისას მაღალი სიფხიზლის, გამბედაობისა და მოსაზრებულობის გამოჩენისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოებული არიან ბოჯომის რაიონის მცხოვრებნი ნ. კახაძე, შ. ყენტი, ი. ხუციშვილი, ვ. კურტანიძე. ჩეკისტებისა და მესაზღვრე ჯარებისადმი დახმარებისათვის ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებულ იქნენ საზღვრისპირა რაიონების მცხოვრებნი ს. ხალვაში, კ. ფალავა, გ. კახიძე, ვ. შელეგია, ა. ქარიმოვი, კ. ბერიძე, შ. შუბითიძე და ბევრი სხვა.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა, განსაკუთრებით საზღვრისპირა რაიონების მცხოვრებლებმა, უნდა გაითვალისწინონ ამერიკის სადაზვერვო ორგანოების ძირგამომთხრელი მოქმედება საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიულ სამხედრო ბლოკებში მყოფი თურქეთის ტერიტორიიდან. ისინი მოვალენი არიან კვლავაც იჩენდნენ განსაკუთრებულ პოლიტიკურ სიფხიზლეს, ეხმარებოდნენ ჩეკისტურ ორგანოებსა და მესაზღვრე ჯარებს მტრული ელემენტების გამოვლინებასა და მხილებაში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში ახალგაზრდა მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირზე 1956 წლის 11 აპრილს თქვა:

„მტრებს იმედი აქვთ, რომ ჩვენ შევასუსტებთ სიფხიზლეს, შევასუსტებთ ჩვენს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს. არა, ეს არასოდეს არ იქნება! პროლეტარიატის მახვილი ყოველთვის ბასრი უნდა იყოს, ყოველთვის უნარიანად უნდა იცავდეს რევოლუციის მონაპოვარს, მუშათა კლასის მონაპოვარს, მშრომელი ხალხის მონაპოვარს“.

საბჭოთა ქვეყნის ისტორიული განვითარების ახალ ეტაპზე სახელმწიფო უშიშროების ორგანოები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გააკეთებენ ყველაფერს, რაც საჭიროა პარტიის XX ყრილობის იმ გადაწყვეტილების შესრულებისათვის, რომ პარტიამ „ფხიზლად ადევნოს თვალყური იმ წრეების ხრიკებს, რომლებიც არ არიან დაინტერესებული საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით, დროზე ამხილოს ძირგამომთხრელი მოქმედება ხალხთა მშვიდობის და უშიშროების მოწინააღმდეგეებისა“.

ჩეკისტური ორგანოების მუშაკები, მესაზღვრე მეომრები გაამართლებენ თავიანთი მშობლიური კომუნისტური პარტიის, თავიანთი ხალხის, თავიანთი დიადი სამშობლოს მაღალ ნდობას და კვლავაც ფხიზლად დაიცავენ საბჭოთა ადამიანების უშიშროებასა და მშვიდობიან შრომას.

თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანეები (მარცხნიდან მარჯვნივ): რ. ჯინჯიხაშვილი, ვ. სახელაშვილი, ო. ბუბუტეიშვილი და ბ. დუნდუა ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

ნაკლოვანებებისადმი შემარიგებლობის წინააღმდეგ

⊙

მაიაკოვსკის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

⊙

მევენახეობას დიდი ადგილი უჭირავს მაიაკოვსკის რაიონის სოფლის მეურნეობაში. იგი კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის ერთერთი მთავარი წყაროა. მოწინავე მევენახეთა გამოცდილება მოწმობს, რომ ყველა კოლმეურნეობასა და ბრიგადაში შესაძლებელია ყურძნის უხვი მოსავლის მიღება, თუ განუხრელად განხორციელდება ვაზის მოვლა-პატრონობის აგროტექნიკური ღონისძიებები, თუ ფართოდ დაინერგება პრაქტიკაში შრომის ნოვატორული მეთოდები.

ასეთი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, მევენახეობის განვითარებას მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში რაიონს ერთხელაც არ შეუსრულებია ყურძნის მოსავლიანობის გეგმა. განსაკუთრებით დაბალი მოსავალია მიღებული წელს. საშუალოდ ერთ ჰექტარზე მოკრეფილია 38,2 ცენტნერი ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 47 ცენტნერის ნაცვლად.

ყურძნის დაბალი მოსავლიანობა იმით არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელია შრომა, კოლმეურნეთა ერთი ნაწილი არ მონაწილეობს საზოგადოებრივ შრომაში. ყოველივე ამის შედეგად ხშირია აგროტექნიკური ღონისძიებების დარღვევის შემთხვევები. სწორედ ამ ნაკლოვანებებზე და მათი გამოსწორების ღონისძიებებზე უნდა გაემახვილებინათ დელეგატებს ყურადღება მაიაკოვსკის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა, მაგრამ ასე არ მოხდა. მომხსენებელი — პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ა. ტაბატაძე და კამათის მონაწილე ბევრი დელეგატი მოერიდნენ „მყუდროებისა“ და თვითდამშვიდების განწყობილების დარღვევას, კრიტიკულად არ განიხილეს საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა.

მომხსენებელმა ჩამოთვალა ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, რომლებმაც წელს ყურძნის ძალიან დაბალი მოსავალი მიიღეს, მაგრამ მას არაფერი არ უთქვამს იმაზე, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებდა რაიონული კომიტეტი ამ ჩამორჩენილი კოლმეურნეობების ეკონომიკის ასამაღლებლად. ყურძნის დაბალი მოსავლიანობის ერთ-ერთი მიზეზია ვენახების სიძეგრცხვ. მაგრამ საანგარიშო მოხსენებაში არაფერი არ თქმულა იმაზე, თუ რა ღონისძიებები ხორციელდება სიმეჩხრის სალიკვიდაციოდ.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ პარტიის რაიკომს არაერთხელ განუხილავს საკითხი სოფლების მაიაკოვსკის, ფერსათის, დიმის, ობჩის და ხანის ჩამორჩენილი კოლმეურნეობების მუშაობის შესახებ და დაუსახავს ღონისძიებები გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მაგრამ განხილვა განხილვად რჩებოდა, კოლმეურნეობებში კი მდგომარეობა უცვლელია. ეს იმიტომ ხდება, რომ რაიკომი სათანადო ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას არ ეწევა მიღებულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, რომ იგი კონკრეტულად, საქმის ცოდნით არ ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობას, კერძოდ, მევენახეობას.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა კოლმეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. სამეურნეო წლის დასაწყისში კოლმეურნეობები იღებენ ვალდებულებებს, დებენ პირობას, მაგრამ შემდეგ თავიანთ სიტყვას ივიწყებენ.

თვითდამშვიდებისა და ნაკლოვანებებისადმი შემარიგებლური განწყობილება იგრძნობოდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორის ვ. ბაბუხადიას სიტყვაში. იგი ცდილობდა ამოფარებოდა საგეგმო დავალებათა შესრულების საერთო მაჩვენებლებს და არაფერი თქვა იმაზე, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგური ცუდად მუშაობს მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის, ანალიზი არ გაუკეთა ყურძნის დაბალი მოსავლიანობის გამომწვევ მიზეზებს. ამისათვის იგი სამართლიანად გააკრიტიკა სოფელ დიმის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. ცერცვაძემ. მან თქვა:

— მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშაკები სუსტად იბრძვიან მევენახეობაში მექანიზაციის დონის ამაღლებისათვის, კოლმეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ სამუშაოთა აგროტექნიკურ ვადაში შესრულებისათვის.

სოფელ როხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა გ. ცაგარეიშვილმა, მართალია, მორიდებულად, მაგრამ მაინც გააკრიტიკა პარტიის რაიკომი ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და დახმარებისათვის.

კონფერენციის მონაწილენი ვერ დააკმაყოფილა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის კ. ჭოხონელიძის გამოსვლამ. იგი ცდილობდა ყურძნის დაბალი მოსავლიანობა ობიექტური მიზეზებით „აეხსნა“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. დუმბაძემ, რომელიც კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა, მწვავედ გააკრიტიკა პარტიის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშაკები სოფლის მეურნეობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის. იგი ვრცლად შეეხო ყურძნის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებებს და აღნიშნა, რომ პარტიის რაიკომმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ ბრძოლა მევენახეობის შემდგომი განვითარებისათვის.

* * *

ახლად არჩეულმა რაიონული კომიტეტის პლენუმმა პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ა. ტაბატაძე, მეორე მდივნად — ამხ. თ. ერისთავი, მდივნად — ამხ. ვ. ჩაჩანიძე.

გ. ხუსკივაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

⊙

გენერალ-ლეიტენანტი ა. ინაური,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

⊙

ცნობა

ეკონომიური ურთიერთ დახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების ნავთობისა და გაზის მრეწველობის დარგში ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მუდმივი კომისიის სხდომის შესახებ

1957 წლის 7-დან 11 დეკემბრამდე ქალაქ ბუქარესტში მიმდინარეობდა ეკონომიური ურთიერთ დახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების ნავთობისა და გაზის მრეწველობის დარგში ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მუდმივი კომისიის სხდომა.

თათბირის მუშაობაში, როგორც მეთვალყურეებმა, მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

თათბირზე, რომელიც ერთიანობისა და სრული ურთიერთ გაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიური ურთიერთ დახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარების უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის პერსპექტიული გეგმების შემუშავებასა და კოორდინაციასთან, და დაისახა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ გეგმების კოორდინაციის დარგში მუშაობის რაც შეიძლება წარმატებით განხორციელებას.

შეჯამებულ იქნა 1957 წლის შედეგები, აგრეთვე განხილულ და დამტკიცებულ იქნა კომისიის მუშაობის 1958 წლის გეგმა.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ კომისიების მუშაობა 1957 წელს ხელს უწყობდა გამოცდილების ფართოდ გაზიარებას ნავთობმომპოვებელი, ნავთობგადამამუშავებელი და გაზის მრეწველობის დარგში.

კომისიის მუშაობა საქმიან და მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

კომუნიკე

ეკონომიური ურთიერთ დახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების შავი მეტალურგიის დარგში ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მუდმივი კომისიის სხდომის შესახებ

1957 წლის 10-14 დეკემბერს ქალაქ მოსკოვში მიმდინარეობდა ეკონომიური ურთიერთ დახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების შავი მეტალურგიის დარგში ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მუდმივი კომისიის სხდომა.

მუდმივი კომისიის სხდომაში მონაწილეობა მიიღეს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

კომისიის სხდომას მეთვალყურეებად ესწრებოდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები.

კომისიამ განიხილა დიდმნიშვნელოვანი საკითხები, დაკავშირებული მონაწილე ქვეყნებში შავი მეტალურგიის განვითარების პერსპექტიული გეგმების კოორდინაციის განხორციელებასთან, რომლებიც გამომდინარეობენ ეკონომიური ურთიერთ დახმარების საბჭოს VIII სესიის გადაწყვეტილებებიდან, და მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

კომისიის სხდომამ შეაჯამა 1957 წლის მუშაობის შედეგები და დასახა რკინის მადნის ამოღების, კოქსის, თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის წარმოების შემდგომი გადიდების ღონისძიებანი, აგრეთვე შეიმუშავა წინადადებანი ახალი ტექნიკის შემდგომი განვითარების შესახებ შავი მეტალურგიის დარგში 1958 წლისათვის.

კომისიამ მოიწონა მუშაობა, რომელიც მონაწილე ქვეყნების სპეციალისტთა სექციებმა და მუშა ჯგუფებმა განახორციელეს, და რომელმაც ხელი შეუწყო მეტალურგიული მრეწველობის განვითარებას და მეტალურგიულ საწარმოთა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გადიდებას.

კომისიამ მიიღო 1958 წლის მუშაობის გეგმა, რომლის მიზანია ეკონომიური ურთიერთ დახმარების საბჭოს VIII სესიის გადაწყვეტილებათა განხორციელება და გამოხატავს მონაწილე ქვეყნების დაინტერესებულობას ერთობლივად გადაწყვეტონ დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური და ტექნიკური პრობლემები შავი მეტალურგიის დარგში.

კომისიის მუშაობა ურთიერთ გაგების სულისკვეთებით, მეგობრულ და საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მომავალი გამგზავრებისათვის ბირმის კავშირში

1957 წლის 11 ნოემბერს ბირმის კავშირის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირში უ ტინ ლატმა გადასცა ბირმის კავშირის პარლამენტის ეროვნებათა პალატის თავმჯდომარის საო შვე ტაიკისა და ბირმის კავშირის პარლამენტის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის ბო ჰმუ აუნგის წერილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის პ. ჰ. ლობანოვისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ვ. ტ. ლაცისის სახელზე, რომლითაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია მიწვეულია ბირმაში.

ბირმის პარლამენტის პალატების თავმჯდომარეები თავიანთ წერილში კმაყოფილებით იგონებენ მეგობრულ და სტუმართმოყვარულ მიღებას, რაც ბირმის საპარლამენტო დელეგაციას მოუწყეს საბჭოთა კავშირში ამა წლის ივნის-ივლისში, და გამოთქვამენ რწმენას, რომ ასეთი მოგზაურობა ხელს უწყობს იმ მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას, რომელიც უკვე არსებობს ორივე ქვეყნის პარლამენტებსა და ხალხებს შორის.

სპასუხო წერილში პ. ჰ. ლობანოვმა და ვ. ტ. ლაცისმა აცნობეს ბო ჰმუ აუნგს და საო შვე ტაიკს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მადლობას გამოთქვამს ბირმის კავშირის პარლამენტის ეროვნებათა პალატისა და დეპუტატთა პალატის თავაზიანი მიწვევისათვის — გაიგზავნოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ბირმაში.

წერილი შეიცავს მადლობას იმ გულთბილი სიტყვებისათვის, რომლებიც ბირმის პარლამენტის პალატების თავმჯდომარეებმა გამოთქვეს საბჭოთა ხალხის მიმართ ამა წლის ივნის-ივლისში საბჭოთა კავშირში ბირმის კავშირის საპარლამენტო დელეგაციის ყოფნასთან დაკავშირებით, აგრეთვე გამოთქმულია რწმენა, რომ დელეგაციების ასეთი გაცვლა ხელს შეუწყობს იმ მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას, რომელიც უკვე არსებობს ორივე ქვეყნის პარლამენტარებსა და ხალხებს შორის.

ბირმის კავშირის პარლამენტის ეროვნებათა პალატისა და დეპუტატთა პალატის სურვილის შესაბამისად წერილში გამოთქმულია თანხმობა — გაგზავნონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ბირმაში 1958 წლის იანვრის დამდეგს, რათა დელეგაციას შეეძლოს მიიღოს მონაწილეობა ბირმის დამოუკიდებლობის დღის დღესასწაულშიც.

საგაფიცვო მოძრაობა კაპიტალის ქვეყნებში

მზარდი სიძვირის, ბინის ქირის გადიდებისა და გადასახადების ზრდის ვითარებაში სულ უფრო ძლიერდება ვაფიცვები.

ნიუ-იორკში დამთავრდა ნიუ-იორკის მეტროს მუშაკთა რვა დღის გაფიცვა.

როგორც იუნაიტედ პრესის საააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, გაფიცვა იყო „მეტროს მუშაკთა ყველაზე ხანგრძლივი და ყველაზე ძვირადღირებული გაფიცვა ქალაქის მთელი ისტორიის მანძილზე“.

გადაწყვეტილება გაფიცვის შეწყვეტის შესახებ მიღებულ იქნა მეტროს 1.500 მემანქანის მიტინგზე მას შემდეგ, რაც ქალაქ ნიუ-იორკის მერმა ვაგნერმა, შტატის ვუბერნატორმა ჰარიმანმა და შტატის საკანონმდებლო კრების ლიდერებმა გაფიცულებს აღუთქვეს, რომ უზრუნველყოფენ მემანქანეთა ჯეროვან წარმომადგენლობას მოლაპარაკებაში ხელფასის მომატების შესახებ. ამავე დღეს ნიუ-იორკის ქალაქის ხელისუფლებმა ვადამდე გაათავისუფლეს საპატიმროდან მეტროს მემანქანეთა პროფჯავშირის ოთხი ლიდერი, მსჯავრდადებული იმისათვის, რომ მათ უარი თქვეს „გაფიცვის თავიდან აცილებაზე“.

გაზეთ „ლა ნასიონის“ ცნობით, არგენტინის ექვსი ათასმა მედიცინის მუშაკმა შეიტანა განცხადება სამუშაოდან წასვლის შესახებ პროტესტის ნიშნად იმის წინააღმდეგ, რომ მთავრობამ უარი თქვა დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა ხელფასის მომატების შესახებ. პრაქტიკულად არგენტინაში მუშაობა შეწყვიტა სახელმწიფო საავადმყოფოების უმრავლესობამ.

იტალიაში მესამე დღეა გაფიცული არიან კომოს პროვინციის ყველა საფეიქრო-სამღებრო ფაბრიკის მშრომელნი, რომელნიც მოითხოვენ ხელფასის მომატებას. 16 დეკემბერს ასევითვე მოთხოვნის მხარდასაჭერად გაფიცული იყო გენუის ნავსადგურის 6 ათასი მუშა, რის შედეგად დაყოვნდა ნავსადგურში მდგომი 60 საზღვაო გემს გადმოტვირთვა და დატვირთვა.

17 დეკემბერი, (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის საგზაურები

საგანგებო ინფორმაციები

ინფორმაციები

ინფორმაციები

##